კვირა, 12 ივლისი 1915 წ. .ფასი 10 კაპ.

იუმორისტ. ჟურნალი

ეშმაკის მათრახი

№ 10

ინგლისი თავისი ახალშენებით. და გერმანია.

ეშმაკი იცინის!

ეშმაკი იცინის,
ეშმაკი ხარხარებს!
დალახვროს გამჩენმა, ნეტა რა ახარებს?!

—

აღმეძრა სურვილი
მიზეზთა გაგების;
ვინ იცის: სამოთხე დაემხო აგების?
ვინ იცის: იქნება
მზემ პირი დამალა,
იქნება მოისპო ვარსკლავთა ამალა
და იგი სამყაროს
ჯოჯოხეთს ადარებს,
ამიტომ იცინის, ამისთვის ხარხარებს?!

—

მიველ და შევკითხე:
— ძმობილო! მითხარი,
ეგრე რათ იცინი, ევრე რათ იხარი?

შენ ჩვენებური ხარ, თუ სხვაგნით მოსული?
მაცნობე, რას იტყვი
შენ ისეთ საამოს,
რომ ჩვენს გულს, დაჩაგრულს, მოეტკბილ მალამოს?!

—

მან თვალი ამავლო,
ამხედა, დამხედა
და შემდეგ მომიყვა (არც ძლიერ მკვახედა):

—

— გუშინ წინ, ჯერ კიდევ
მზეს ტკბილათ ეძინა,
ქვეყანას საამო შავ-ბნელი ეფინა,
რომ სევდა ეწვია
გულს ჩემსას წყეულსა
და ავყევ მთის პირად მე ბილიკს ჩვეულსა.
მინდოდა მენახა
იქ ბრძოლა საზარი;
ზარბაზანთ ქუხილი, მთა ბართა ზანზარი...
მინდოდა დამეტკბო
მით სული შავ-ბნელი
და უკუეყარა გულს სევდა-ნაღველი.

—

— ავედი მწვერვალზე.
ძირს ველი გაშლილა...
მებრძოლთა რაზმები ლამითვე ამლილა:
სდუღს მთელი მიდამო,
მთა ცეცხლის მფრქვეველი...
გულს წითლათ იღებავს ხავერდის ტყე-ველი
იქ მთა დგას, აქ მთა დგას
დაჭრილთ და მოკლულთა
ზედ ბრძოლა სწარმოებს დამხდურთ და მოსულთა.
გრიალებს და მოსთქვამს
არემო მკვნესარი
ვთქვი:—რასაც ვეძებდი ვიპოვე, ეს არი.
მაგრამ გულს, უმაძღარს,
არ ყოფნის არც ესა,
რა ტანჯვა-წამებაც აქ კაცმა დასთესა
და სევდა თანა მდევს,
ვით მწუხრის აჩრდილი
შემუსვრა იმისი არ დარჩა ადვილი.

—

შევხედოთ, ჩემს ახლო,
ჭაბუკი მტირალი,
ზის კლდისა ნაპრალთან ძირს გადამზირალი.
ზის მარტოდ, ობოლი,
და ცრემლი ღვარადა
თვალთაგან გადმსოჩქეფს ღაწვთ დასაღარადა.
მოსთქვამს ის ეული,
ჰგმობს ვიღაც ევასა
და შეცად აღავლენს ცხოვრების წყევასა.

—

ვთქვი,—ესე ჭაბუკი,
აქ ცრემლად ქცეული
მიჯნური იქნება მთად გამოქცეული...
ბედს თვისას დასტირის,
ბედს მუხანათურსა
და აფრქვევს მლაშე წყალს თვალთაგან ნაწურსა.
შევკითხე:—ვინა ხარ?
მსურს მეცა ვიცოდე,
ცრემს ვისთვის დააფრქვევ, ვისათვის იწოდე..
— ნუ თუ შენც ველარ მცნობ?
(შემესმა მისგან მე

—



ეშმაკი.

ჰაეროპლანით მოგზაურობა.

(უმაფუფლო ტელეგრაფით კადმოცემული მოხსენება).

„სადაც არ იყოს, გაცლა სჯობს,
კარგისა მამაცისაგან“.

დავით სარდალი.

დიდო ეშმაკო, მათრახოვანო! ოდეს საქართველოს უშტაბო ლაშქარი უკანასკნელათ ეთხოვებოდა თავის დიდებულ სარდალს, სიტყვაკაზმულობის მოელვარე ვარსკვლავს, სათაყვანო მგოსანს (ლვანკითელი არ გეგონოთ) და „მოგონებათა“ ავტორების მიერ სამარეში უდროოთ გაძახილ მხცოვან აკაკის—მაშინ ერთმა, კეთილი წარსულის მქონემ, ხოლო ამჟამათ შტაბიდან გადაყენებულმა, დაბიანებულ საზოგადო მოღვაწემ სხვათაშორის შესრულა აკაკის უტყვ ცხედარს: „ხედავ?! შენმა სიკვდილმა გააერთიანა საქართველო... ჯარი დიდი გვყოლია და მხოლოდ შტაბი-ღა გვაკლიაო“!

ამ სიტყვებმა, სწორეთ, ბრაზი მომგვარა!..

როგორ?! არა, როგორ გაბედა საჯაროთ ამ ტკბარი სიცრუეს განცხადება!.. თითქოს, ასე გადოდის, ჩვენ უშტაბონი ვიყოთ?! საკვირველია! შენ მაინც სად იყავი ამ დროს ჯოჯოხეთის მფლობელო? თუ ხსენებულ ექს-პუბლიცისტმა ვერ მიაკვლია შტაბი (ამის უფლება მას კარგა ხანია დაეკარგა)—შენ რათ არ განუმარტე, რისთვის არ დადასტურე, რომ შტაბი არსებობს, „იგი“ „ბეჯითია“—რობაქიძურათ რომ ვსთქვათ, იგი „განსახიერებული სახიერებაა“, ხოლო იგი უხილავია, ფარულათ მომქმედი და მისი შემადგენელი ერთეულები საერთო საქმისთვის განცალკევებულთ ეწევიან საერთო საქმეს-თქვა?!.

მაპატიე კადნიერება, მაგრამ საყვედურის ღირსი ხარ! განა ჩვენი შტაბი დასაწუნებელია? აფსუს! მართალია, ხანდახან ლაშქარი ბორძიკობს, თორემ ჩვენი შტაბი! სამამაცო საქმეებს სჩადის ხოლმე; კმარა მეტიჩრული მორცხვობა!..

მომბეზრდა დიდო ეშმაკო, შენთვის მუდამ კონფიდიციალურ მოხსენებათა მოწვდენა უმავთულო ტელეგრაფით; დეე, ჯოჯოხეთისა ტარტაროზმა იგი შემოკლოს, გამოსტოვოს ზოგი ადგილები, ინგლოს რამდენიმე სტრიქონი საუზმეთ, ხოლო ამის მიუხედავათ, გამოქვეყნდეს ესე და ამი შემდგომათ მოწვდენილი მოხსენებანი!.. ასე აჯობებს: ნაკლები ჰორი იქნება...

როგორც იცი, დიდო მბრძანებელო, მშვიდობიანობის დროს შენგან ბოძებულ პასპორტს ვიდა გაუვიდა. დაიწყო საშინელი ომი. იცოცხლე, შენ კარგათ იცი რას ნიშნავს პასპორტი! სუნთქვის უფლება. თუ არ დაგავიწყდა, მეც ვსუნთქავ. ვერსათ ვერ მოვახერხე შეჩერება უპასპორტოთ. იძულებული გავხთი შენი მორჩილი ეშმაკუნა, საშვალება გამომენახა. ვიპოვე კიდეც და ვიმედობ, რომ მომიწონებ, ჯილდოზე წარმადგენ. რომ ასე არ მოვქცეულიყავი, შენ მიერ დავალებულ ქვეყნის დაზვერაზე უარი უნდა მეთქვა, შენი რისხვა უნდა დამეშსახურებია.

შენც იცი: ომის დროს ადგილობრივ მკვიდრთა, მუდმივათ აქ მობინადრებზე მეტი გასავალი უცხო ტომს, ომში მოკავშირე (რას ნიშნავს გაჭვრება!) სახელმწიფოთა შვილთა აქვთ, ამიტომაც სახელი ინგლისურათ შევიცვალე. უფლება მქონდა, არ მქონდა ფორმა შევიცვალე: სამხედროთ მოვიკარაბჭინე და ჩინებული,—ცნობილი სტუდ. ახმეტელაშვილის მიერ გამოგონილი, შესანიშნავი, თვალთმაქცური კონსტრუქციის ორ ტენტროგანი შეჯაქვული ჰაეროპლანი შევიძინე, ერთობ იაფათ, რადგანაც სულ ერთი იყო, ის არავის არ სჭიროდა და ეშმაკის გარდა, ხორცშესხმული ვერ გამოიყენებდა დიდებულ აღმომჩენელის ნაწარმოებს.

მიღებულია, ჰაეროპლანს რაიმე სახელწოდება

უნდა ქონდეს. უნდა ებოძოს ამა ქვეყნის ღირსშესანიშნავ პირთა სახელი მის პატივსაცემლათ.

მე-კი, რასაკვირველია, არ გამეჩერდა ჩვენში ამგვართა აღმორჩენა, რადგან კარგათ იცი რა ლეგიონი გვყავს „დიდ მოღვაწეთა“, მაგრამ საქმე ის არის, რომ ჰაეროპლანის კონსტრუქცია რითიმე უნდა შეესაბამებოდეს, რითიმე უნდა წაგავდეს, როგორმე თავის თვისებებით უნდა ენათესავებოდეს მის ხასიათს, ვისიც სახელი ჰაეროპლანს მიეწიჭება. მაგალითად, ვეებერთელა, მძლავრ ჰაეროპლანს რუსეთში „ილია მურომეცი“ ეწოდება, გერმანიაში „ცეპელინი“. ხოლო კოხტასა და სწრაფ ჰაეროპლანს, სახტი აგებულობისას—საფრანგეთში „მერკურის“ ან „არწივს“ არქმევდენ ხოლმე და სხ.

ჩვენში-კი, კარგათ იცი, რამდენიც გინდა იმდენია „ურო-ბეცები“, მაგრამ სახელის მიცემამდის, ჩემი უბედურება ის იყო, რომ ჩემი ჰაეროპლანის კონსტრუკციის, მისი თვისებათა მონათესავე პირი ვერ აღმოვაჩინე ჩვენში. რა მექნა? დიდხანს ვიფიქაუდე: ჩემ მიერ შეძენილი მანქანის თვისება რომ მჩატე, მსაბოლავი, მოპარპალე, ცქრიალა-სრიალა ყოფილიყო „ქვარიანს“ ან „რობაქიძეს“ ვუწოდებდი, მძიმე, მკვახე აგებულების, რუმბივით შებერილი რომ ყოფილიყო ის დალოცვილი ჰაეროპლანი—„თავად დავითს“ დავარქმევდი.

მოლაყლაყე, აჭრიჭნებული, მოხმაურე აგებულობა რომ ქონდა „მისიონერ მელქისედეკს“ ან „ნამოურავალ პლატონს“ სახელს მივაკუთვნიდი. აწრიპინებული, შეზარებული, აზღიპინებულ-მტირალე ხასიათისა რომ გამომდგარიყო „ფარცხალავას“ დავარქმევდი. ბორძიკი რომ სკოდნოდა, ეგრეთ წოდებული „неустойчивость“-ი რომ სჭირებოდა, აქეთ-იქეთ შექროლება რომ იყოს მისი თვისება „გომართელს“ მივსცემდი სახელათ. ეს ყველ-ვე კარგი. .

მაგრამ ჩემი უბედურება ის იყო, რომ ახირებული კონსტრუკციის არის ჩემი ჰაეროპლანი ორ-ცენტროვნულ ხასიათიდან გამომდინარი: ერთსა იმავე დროს იგი ბევრგვარ თვისებებს შეიცავს: წინა ნაწილი მისი მოღრიალეა, შეგიეებული, ბურდ-ღული, ღრიანცელ-მოხმაური, ხოლო დანარჩენ შემხვედ;ში ელვასებრ სწრაფი, უჩინარი, უშეყინარი, ნარნარი, ჩუმი მსვლელი-უხმაური და აი ამ ორ მოწინააღმდეგე თვისებათა გამო ჩემს ჰაეროპლანს დიდი ყოყმანის შენდეგ ვუწოდე (chée-vardain); საერთოთ სახელი უცხოსა წაგავს, შესანიშნავ მოგვაგონებს და თანაც პირველათ ჩამოთვლილ თვისებათა მქონე ვინაც, ცნობილ მგოსანს იგულისხმებს შედეგ[illegible]

მომიწონებ?—შენი ნებაა, ჯოჯოხეთისა შენ-ნებავ!

ყოველივე გამზადდა! შესაკუბებული თვალთ-მაქც ჰაეროპლანზე, ტყავის ქურქში, თვალისწინ ქარტა, შეიარაღებული ლურბინდით, უჩინ-მაჩინის ქუდი თავზე შესაკუბებული—აი ჩემი ავტო-პორტრეტი.

ამგვარათ შევსახიერდი, ოდეს ომი შეჩაღდა. ერთხანს ვიცადე: ვიფიქრე შეიძლება გახდეს სასწაული და შევსძლო უპასპორტოთ სადმე თავის მიმალვა მეთქი. მრწამდა, რომ ომის დაწყების ჟამს წარმოსადგენი იყო ეშმაკთადმი შეღავათის მინიჭება, იმიტომ ხომ ისინი ყველაზე უფრო საპირონი არიან ომის წარმოებისთვის ლაშქარით და ტაბიოურთ. თანაც იმ ქალაქს, სად მე მქონდა მუდმივი საყუდარი სახელი შეუცვალს და ვიფიქრე: იქ არსებულ სულთშემხუთავ წესებსაც ოდნავ მაინც შეცვლიან მეთქი. მქონდა ამის საბუთი, რადგან ცნობით ვიცი: მოკავშირე სახელმწიფოებმა არამც თუ წესები შეაკეთეს-წარმოიდგინეთ, ეშმაკებიც მოიწვიეს სახელმწიფოთა საქმეების მართვა გამგეობაში და აბა რა ჩემი ბრალია, თუ ამგვარ უტყუარ გარემოებათა გულუბრალცილო შემქნეს, მოლოდინი საშინლათ გამიცრუვდა.

მეტი გზა არ დამრჩა: შენი დავალება: დედამიწის ერთი ნაწილის დაზვერა უნდა შემესრულებია; ოხერ დედამიწაზე-კი არ გამაჩერეს და მოვაჯეკ ჰაეროპლანს, მოკკურცხლე „ზილფოვან ფშვინვარებით“ მოცულს ერთგულსა და თავისუფალ ცისაკენ. საუცხოვო რამ იმის, თვალწარმტაცი სანახაობაა! აქ არავინ არ გაწუხებს: არც პასპორტი საჭირო., რაცა გსურს წაიკითხავ, დასწერ; ხარ ყოჩღლათ. მშვიდათა და ლაღათ. არც დრამა, არც ბეგარა; გაშორებული ხარ წესიერების დამცველთ, „საზოგადო მოღვაწეთ“, სალიტერატურო ღილებს; ტალახი, ტანჯვა, კვნესა, სიკვდილი, სასხელის ღერა-შენთვის მხოლოდ მოგონებაა! საუცხოოა თანაც სულ-ულ უშიშრობას განიცი, რაცა გსურს მას ჩაიდენ. ან მგალითისთვის: ოდეს მიწას ავშორდი და ზეცას შევსტოპე, ოდეს ქალაქის ვეება შეეკვარტლულ „შიშველ ბუხრებს“ გავუსწორდი ქუჩაში მდგომ „გოროდოვოის“ თითით დავემუქრე და თანაც გულმოჯერებული ლაზათიანათ შევადგინე კიდეც დავსწყველე. მას ერთათ ერთი საშველება-

ლა დარჩა და მიმართა კიდეც—გაიცინა და თავი გაიქნია: „აი გიდი“-ო!

სერ-ჯორჯი.

(დასასრული იქნება).

სიამაყე

(იგავი)

„...ამაყი შიმშილობის დროსაც უნდა იყო“...
გაზ. „სამშობლო“.

ზღაპრათ მსმენია: სადღაც, ოდესღაც
სცხოვრობდა თურმე ერთი მდიდარი,
სტუმრისთვის თურმე, ძუნწი რამ იყო
თითონ ღორივით გაუმაძღარი.
როდესაც შორით, ვინმე მოყვარე
შემთხვევით იმას ესტუმრებოდა,
ორიოდ ლუკმის მიღების შემდეგ
უცებ სუფრიდგან წამოდგებოდა:
„მეც მაძღარი ვარ, ჩემი სტუმარიც!“
ეტყოდა თურმე ყველას ამასა,
ლოცვით პირჯვარსაც გადისახავდა
და ათავებდა ამით ჭამასა.
მაგრამ როდესაც სტუმარს შინისკენ,
ნ საწოლისკენ გაისტუმრებდა,
უჯდებოდა დანარჩენ საჭმელს
და კუჭს თავისას არ იმდურებდა.
და რა თქმა უნდა, ვინც შიმშილშიც კი
ყო ამაყი და თავმოყვარე,
უნწის ასეთ ქინს ქედს მოუხრიდა,
უმც დალი მისგან გულს აჩნდა მწარე.
მაგრამ ჰა, ერთი შორი-მოყვარეც
ოთხელ ამ მდიდარს სტუმრად ეწვია,
მა ძლიერ იმისი ნახვა,
ცნით, ალერსით გადაეხვია.
დაღამდა კიდეც. დასხდენ ვახშმათა.
არ აეღოთ ჯერ ორი ლუკმა—
ეც მაძღარი ვარ, ჩემი სტუმარიც“,
ამ ჩვეულებრივ წარმოსთქვა ძუნწმა.

სტუმარს კი, რადგან აღარ გააჩნდა
არც სიამაყე, არც მოკრძალება,
ძუნწის სვავ გულის დასჯა მოუნდა
და გამონახა ეს საშვალება:
— „შენ თუ გაძეხი სულ სხვა საქმეა,
მე კი, ეს არის დავიწყე ჭამა!...
წარმოსთქვა მან და კვალად ვანაგრძო,
თან მადაც უფრო გაითამამა.
და რაკ სუფრაზე სურსათი ეწყო,
აღარ დასტოვა აღარაფერი,
თუმცა მასპინძელს, ამის მოწამეს,
გული გაუსქდა, ეცვალა ფერი.
შემდეგ ლოგინიც სტუმარმა ძუნწსა
იქვე ცეცხლის პირს გააშლევინა:
ზამთრის სიცივე მოიმიზეზა,
(ვითომც თბილს ადგილს სურდა ეძინა).
ძუნწს კი დანა პირს აღარ უღებდა,
მაგრამა სტუმრის დასანახავათ,
თითონაც დაწვა, ჩააქრო ცეცხლი,
ქოხში სიბნელე ჩამოწვა შავათ...
მალე სტუმარმა, როგორც ღრმა ძილში,
აუშვა ხვრინვა, თან ახელს თვალებს:
ვახშამზე მომხდარ ამბის მოწამე
მასპინძელს უცქერს და უთვალთვალებს.
დიდი ლოდინის შემდეგ, ხედავს ის,
რომ აი ძუნწი საწოლით სდგება,
აანთო ცეცხლი და სიფრთხილითა
იწყო თავისთვის ვახშმის მზადება:
კვერი ჩააკრა ცხელ ნაღვერდალში,
თან ცეცხლიც შემდეგ მან ჩაანელა
და კერის პირათ ჩამოჯდა ფრთხილად
იმ მხარეს, სადაც უფრორე ბნელა.
შეჭამადისა იწყო მზადება.
იწყო კერასთან ფუსფუსი ფრთხილი...
ხედავს სუყველას ამას სტუმარი
და გულს გაივლო განზრახვა ტკბილი:
ზე წამოიჭრა უცბათ საწოლით,
იქვე ყავარჯენს დაავლო ხელი
და ყვირის: „ძაღლი შემოთრეულა!
ვისია, ნეტა, ეს საძაგელი?!“
ამ სიტყვებითა ზურგზე ზედი ზედ
გადუსვა ძუნწმა მოურიდებლათ,
თანაც ნაღვერდალს დაუწყო ქექა,
ვითომდა ცეცხლის გასადიდებლათ.
დიდხანსა ჰქექა მან ნაღვერდალი,
დიდხანს ატარა შიგ ჯოხის წვერი,

ცეცხლიც აანთო, მაგრამ მასთანვე
ცხელ ნაღვერდალსაც შეჰრია კვერი.
და სინათლეზე, როცა იხილა
კერისა პირად მან მასპინძელი:
„ძაღლი მეგონე, უკაცრავათო!“
და ყავარჯენსაც გაუშვა ხელი.
ბოდიშს იხდიდა პირისფერობით,
თავის განზრახვის მიმფუზველები,
გულში კი ჰფიქრობს: „ახია შენზე,
რომ ნაცემიც და მშიერიც რჩები!“.

—

ეს ზღაპრად მოხდა, მაგრამ ხშირათ
მას სინამდვილეც გიმეორებს:
„შიმშილში უნდა იყო ამაყი,
თუნდაც ჯამაში ჰბაძავდე ღორებს!“.

ონისიმე.

დეპეშები.

ფოთი. შუადამის პირველ საათზე პალიასტომის ფარონტიდან გაფთრებულმა მტერმა — (წყალმა) სასტიკი იერიში მოიტანა მთელ ჩვენ კაპარჭინის ფორტებზე (დამბაზე). უმაგალითო ბრძოლას ჩვენმა ფორტებმა გათენებამდის გაუძლო,*) მარა გათენებისას მტერს აუარებელი მაშველი ჯარი მოეტატა და მთელ ხაზზე გადმოდ ახეს ჩვენი სიმაგრეები. სამი საათის განმავლობაში მტერმა მთელი ქალაქი აიღო. მცურავი ქალაქი მტერს ტაქტიკურ მოსაზრებით მხიარულათ შეეგება, რის გავლენით მტერმაც შიშსა და ზარაღის მაგიერ მხიარულება და სარგებელი მიანიჭა ქალაქს, აუარებელ ხე-ტყის ჩამოტანით და თელი ქალაქში საცურაო წყლის შემოყვანით, რომელშიაც დიდით პატარამდე სამხედრო, სამოქალაქო, სასულიერო უწყება, თუ კერძო პირები სიამოვნებით დასცურავდენ არა-თუ ნავებით, ვარცხლებითაც („ლახანკა“) კი, რადგან ქალაქში არსად იმდენი წყალი არ მოსულა, რომ ნაღით გასვლა შეუძლებელი ყოფილიყოს.

*) ამბობენ ნახევარი არშინით უმაღლესი დამბა სულ გადაეხურნდა ქალაქს ტურ. საგანო.

ნავთსადგურები უმთავრესად „ბალტიკედონია“ და „კომეტასთან“ დაარსდა, ეს ადგილი ეს ბალ ხალხი უცდიდა რიგს, რომ ნავი ან ვარცხლი მოსწეოდა. ყველა მოსახვევებში ფოტოგრაფები იდგენ სურათების გადასაღებათ.

მცხოვრებლებმა დაადგინეს ქალაქს სახელი გამოუცვალონ და დარქვან **ვენეცია.**

იქიდანვე. „ნავთსადგურ“ „კომეტასთან“ შეგროვილ ხალხში უწესოების „დასაწყნარებლათ“ ერთი მოქალაქე (Городовой **) ამოღებული ხმალით დაერია და ვისაც დაეწია კინაღამ სამუდამოთ დააწყნარა, მარა „მოწესრიგე“ ღრმა წყალში შეშინთ გადავარდა და ამოყვანის შემდეგ დამშვიდდა.

იქიდანვე. ქალაქში წყალმა იკლო, რის მიზეზით ნავით მოსეირნე ქალ-ვაჟი დაღამებისას გაირიყა ერთ ადგილას.

იქიდანვე. ზინგერის მაღაზიის გამგეს ბ-ნ **საკანდელიძეს** ვიღაც ბიოგრაფმა ჩვენს გაზეთში ბათომსა და ქუთაისში „მოღვაწეობის“ ნუსხა მოუთავსა და მთავარი „ღვაწლი“, რომელიც ბ-ნ სჯანდელიძეს ფოთში მუშაობის სულაც არ უხსენებია, რითაც აღშფოთებული ფოთელი ზინგერის მოსამსახურე ყოფილი და ახლა მყოფი პირებიც სასტიკ პროტესტს უცხადებენ ხსენებულ კორესპონდენტს და აღნიშნავენ, რომ ბ-ნი სჯანდელიძე ისტორიაში მარტო ფოთში „მოდგაწეობით“ იყო ღირსი ჩაწერისო, რომელმაც მრავალ მის მოსამსახურეს გაუნია ლუკმა პური საძებნელათ.

ბუტუნას საგენტო.

—

(გიტოს საგენტო).

ქუთაისი. ბ-ნ იოსებ კემულარიამ საბოლოოდ გადასწყვიტა დარჩეს თავის თანამდებობაზე (ბანკის დირეკტორად), რადგან ის დარწმუნდა, რომ თავისი წასვლით ბანკს ვერც იმოდენ ზარალს მიაყენებს, როგორც წინაზე ფიქრობდა.

იქიდანვე. დანამდვილებით ამბობენ, რომ თფილისის ბანკის ქუთაისის განყოფილების მმართველი ბ-ნი მირმანოვი მოქმედებდა ბ-ნ იოს. ოცხელის ტაქტიკით, როცა ქუთათურ ვაჭრებს ურჩევდა მხარი დაეჭირათ დირეკტორობის ადგილზე ბ-ნ პ. უზნაძისათვის.

იქიდანვე. ბ-ნი სიმონ ქვარიანი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ვირის წიხლები მას არა თუ არ

**) მკითხველთან ბოდიშს ვითხოვ, რადგან თარგმანი городовой ს მოქალაქეს გარდა ვერ მოვახერხე.

სწყენია, არამედ არც სტკენია, რადგანაც ის ფიქრობს შრომის ფასი უშრომლად აიღოს.

— ამ დღეებში ქუთაისში მოელიან პროფესორ სივერსს, რომელსაც მიზნათ აქვს გაეცნოს ქუთაისის განყოფილების ქარ. შ. წ. კ. გ. საზოგ. სტამბაში ახლად შემოღებულ ბუხგალტერიის წესრიგს და თავისი შრომაც ამის და მიხედვით შეასწოროს.

— ბ-ნი ალ. კრინიცკი თანახმაა არჩეულ იქმნეს ყოველივე საზოგადოებებში გამგეობის ან სარევიზიო კომისიის წევრად, იმ მოსაზრებით, რომ არსად არ იმუშაოს და თავიც იმით იმართლოს რომ ის საქმეებით დატვირთულია.

— ბ-ნი პავლე მდივანი ერთხმათ იქმნა არჩეული ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრად, რაც იმის მომასწავლებელია, რომ ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრადაც ერთი ხმით იქნება არჩეული.

—

სოფ. მარტყოფი. ჩვენს აღტაცებას სამზღვარი არა აქვს!.. გასაოცარის სისწრაფით მივდივართ წინ: ადგილობრივ მომხმარებელთა საზოგადოების მაღაზიაში დიდის ზეიმით გაიხსნა უსაქმოდ მოხეტიალე ქალ-ვაჟთა კლუბი. საქმე კარგათ მიდის. ჯერ-ჯერობით შემოღებულია ნარდი. კლუბის წევრებად მიიღებიან მხოლოდ ის პირნი, რომელნიც შესამჩნევად არიან დახელოვნებულნი უაზრო ღრეჭა-ლაქლაქში და განსაკუთრებით კი ჭორების შეთხზვა-გავრცელებაში. ახლო მომავალში აირჩევენ კლუბის მამასახლის-დიასახლისებს. უეჭველია, არჩევნებზე დიდი შეხლა-შემოხლა იქნება. შედეგს დაუყონებლივ გაცნობებთ.

ჯიუტიტო.

ათი მცნება.

მომხმარებელ საზოგადოების წევრთათვის. *)

1. მე ვარ კოოპერატიული დუქანი, სავაჭრო სახლი შენი, და არა იყვნენ შენდა სახლნი სავაჭრონი უცხონი, ჩემსა გარეშე.

2. არა ჰქმნე თავისა შენისა ვნებათ ვაჭრობა სავაჭრო სახლთა შინა უცხოთა, არცა ყოვლადვე მსგავსთა მათ, რაოდენი არს ქალაქსა შინა დიდსა, და რაოდენი არს დაბასა შინა წვრილსა, და რაოდენი არს სოფელსა შინა მცირესა, არა ეწვეოდე მათ და არცა საყვლეფად თავსა შენსა მისცემდე მათ.

3. არა მოიღო სახელი კოოპერატივისა შენისა ამაოსა ზედა.

4. მოიხსენე დღე იგი კოოპერატიული დუქნისა შესახებ კრებისა და წმიდა ჰყავ იგი, კრებიდგან კრებამდე ვაჭრობდე კოოპერატივსა შინა ნაღდზე და იყიდდე მას შინა ყოველივე საქონელსა, შენდა საჭიროს, ხოლო დღე იგი კრებისა მოახმარე კოოპერატივისა შენისა შესახებ მსჯელობასა, მისი არსებობის განმტკიცებასა და გაძლიერებასა.

5. პატივ ეც და ივაჭრე კოოპერატიულსა დუქანსა შინა შენსა, რათა მოგება შენგან შენვე დაგრჩეს და ჩარჩისა მიერ გაყვლეფისაგან უზრუნველ იყვე ქვეყანასა ზედა.

6. არა ჩაჰკლა კოოპერატივი შენი, არამედ ხელი შეუწყვე მის ზრდა-განვითარებასა.

7. არა იმრუშო კოოპერატივისა შენისა წილ, ე. ი. არა გვერდი აუარო კოოპერატივსა შენსა და და სავაჭროთ არა მიიგრაგნო დუქანსა უცხოსა.

8. არა იპარო, ე. ი. არა ინისიო კოოპერატივსა შინა შენსა.

9. არა გული გითქმიდეს კოოპერატივისა შენისათვის წამებითა ცრუთათა, ე. ი., არა თუ თვით არ ავრცელებდე კოოპერატივისა შენისა შესახებ ცუდსა და ყალბსა ცნობებსა, არამედ სხვებსაც კი ეწინააღმდეგებოდა ასეთი მოქმედებისათვის.

10. არა გული გითქმიდეს საქონელისა კერძო დუქნებსა შინა დებულისათვის, არამედ გული მიგერჩოდეს კოოპერატივსა შინა დებულ საქონლისაკენ და ჰყიდულობდე მხოლოთ მას, როგორც უფრო საღსა და იაფს, არა გული გითქმიდეს (შეგშურდეს) სახლისათვის კოოპერატივისა შენისა, არცა ეზო-მიდამოისათვის მისისა, არცა მმართველისა მისისა, არცა დახლიდარისა მისისა, არცა მეფურნისა მისისა, არცა ყარაულისა მისისა, არცა ყოვლისა დამხმარისა და თანამგრძნობისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა იყვეს კოოპერატივისა შენისა. ამინ.

ონისიმე.

---

*) „თანამედროვე აზრის“ 17 მაისის №-შიაც არს მოყვანილი ასეთივე ათი მცნება. უნდა მოგახსენოთ, რომ მე უკმაყოფილო დავრჩი იქ მოყვანილ ათი მცნების სამოქალაქო ენით, ვინაიდან მცნებისა და ლოცვებისათვის არსებობს საეკლესიო ენა. ამასთან პატივცემულ გაზეთში არც თუ ფორმა და სახე ათი მცნებისა დაცული. აი ამ მოსაზრებათა ძალით მეც ვათავსებ ამ ათ მცნებას „ეშმაკის მათრახში“ ამ ჟურნალის მკითხველებისათვის. რომ ტექსტის ენა და ფორმა სრულიად შეესაბამება სათაურს, ამას მკითხველიც დაინახავს. ხოლო, ვინაიდგან საეკლესიო ენის ხმარება არ უარყოფს ტექსტის ამა თუ იმ ადგილის სამოქალაქო ენით ახსნა-განმარტებას, ამისთვის მეც აქა იქ მაქვს დაძენილი ასეთი ახსნა განმარტებაც.

ონისიმე.

უკანასკნელი ბოთლი

„თბილისის პოლიცმეისტერმა შუამდგომლობა აღძრა სრულიად მოსპოს ღვინით ვაჭრო[illegible]“



ლოთი. ერთი შეხედეთ, ეს ღვინო ოთხმოცი წლისაა და ისე შენახულა, რომ ერთი თეთრი არ ურევია.

ჩვენებური საქმიანობა.



ქართველი ინტელიგენტი მისწრაფის დარბეულ, აწიოკებულ და დამშეულ-დაზარალებულ მოძმეთა საშველად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი იდეალისტი. დავსწერე ერთი წერილი. დავსწერე მეორე: დავსწერე მესამე: "! დავსწერე მეოთხე: კიდევ დავსწერე, კიდევ დავსწერე, კიდევ და კიდევ დავსწერე, მაგრამ ეს რასა გავს?—არავინაც არ იძვრის!

ცნობის მოყვარე.



ცქ.ბ.ა.

შარადა

თიხის ბრტყელი ნაკვეთია,
ნაზელი და გამომცხვარი,
ჯერ მზეზეა განაშრობი,
მერმე ცეცხლში გამომწვარი.

—

ფეჩ-ბუხრების საშენია
და სახლების ასაგები...
რაღა ქარაგმები უნდა?
მგონი არის გასაგები!

—

ჰო და თავი ჩამოსჭერით
და ბოლოზე დაასკვენით.
საქართველოს ნაწილია.
სთქვით, რომელი, თუ ახლ ენით?!.

ონისიმე.

ჩემის აზრით!

(გაგონილი)

ერთი თავ-გასული ნოქარი მეზობლის ქარხანას მიადგა. უდროვო დრო იყო.

ალაყაფის კარების დარაჯმა, ცივი ვარი სტკ ცა.

— ბატონისაგან სასტიკათ აღკრძალული მაქვს ასეთ დროს მიღებაო.

— ეს ეგრეა, მაგრამ მე კო სხვა ვარი— მიუგო მედგარმა ნოქარმა.

— ვინც გინდა იყავი და მე-კი არ შეგიშვებო განიმეორა დარაჯმა.

გაიმართა ბრძოლა.

ნოქარი, შედარებით ღონიერი გამოდგა ( ) რიგზეც მიბეგვა თავ-ხედი დარაჯი.

დილა ადრიან გასისხლიანებულმა დარაჯმა თავის ბატონს შესჩივლა და ყველაფერი დაწვრილებით უამბო. სთხოვდა ნოქრის პასუხის გე ში მიცემას.

გავიდა კარგა ხანი. ერთ მშვენიერ დღეს „ივან პლატონოვიჩსა (ასე ერქვა ნოქრის აღას) პო იიციის ზედამხედველი ესტუმრა. რაღაც „დელო ი" ხელში. კარგახანს ისაუბრეს. ჩაის მირთმევის შემდეგ ზედამხედველი ზრდილობიანათ გამოეთხოვა და გაუდგა თავის გზას.

ივან პლატონოვიჩმა სწრაფლ პიიხმო ნოქ რი თავის კაბინეტში.

ეს რაები ჩაგიდენია გაბრიელა. დარაჯი გი-

ლახნია, კანონი დაგირღვევია და დღეს პასუხის გებაში გაძლევენ.

შენ რაღას იტყვი?

— აბა რა უნდა ვქნა ივან პლატონოვიჩ! შევცდი, და ისევ თქვენ მიშვამდგომლეთ როგორმე.

— შენ ჩემი ერთგული გაბრიელა ხარ და ამიტომ, მე უკვე მოვაჭახრაკე საქმე. უფრთხილდი კი შემდეგში არ ჩაიდინო. განა ცოტა მუშებია ჩვენს ქარხანაში? ჩემის აზრით აიღე და ვინცა გსურს ის გალახე: უმჯობესია შენს მუშას სცემო როცა დაგჭირდეს.

ტურტუშ.

„დრამაო ჩვენო“.

(ეძღვნება ზოგიერთ გაუმაძღარ მღვდლებს).

დრამაო ჩვენო ცხოვრების ღერძო,
ღარიბთ ჯიბიდან მოსულო კერძო,
დე, წმიდა იყოს შენი სახელი
ეგ არის ჩვენი თვალთა ამხელი.
და ძლიერებით სუფევდე მარად
ჩვენს სასარგებლოთ, ჩვენს გასახარად,
შენ უმშვენებდე მამებს—წვერ გრძელსა,
ვითარცა ჯიბეს, ეგრეთ მუცელსა.
შენა ხარ ჩვენი არსების ფური
ძველთაგან ძველი მამა-პაპური.
მიტომაც გაქებთ, გადიდებთ შენა
(შენს სადიდებლად მეტყველობს ენა).
და მოგვეც ჩვენ დღეს ჭამისა მადა
ცხვრებ-საკურთხების ჩასაქანქადა.
(არ დავიწუნებთ თანანადებსა
ბექსა, სათბილოს, ცვრიან მწვადებსა.
და თუ ზედ ღვინოც გვექნა ყანწებით
ვსვამთ დღე და ღამე, არც კი დავწვებით).
კუჭიზმის კრიზისს და განსაცდელსა
შენ ნუ შეიყვან ნურც ერთსა მღვდელსა.
არამედ გვიხსენ ცუდ ზრახვისაგან
და „ეშმაკისა მათრახისაგან“.

კვახაძე.

კორესპონდენტის ბედი.

(იხ. „ეშმაკის მათრახი“ № 9).

IV.

პეტრე. ნესტორი და პეტრუზა.

პეტრუზა. (შემოდის ძალიან გაჯავრებული, ხელში ჟურნალი „მათრახი“ უჭირავს. ქუდს მოიხდის და დამცინავი კილოთი პეტრეს). ზდრასტიტე გოსპოდინ პროფესორ!

ნესტორი. (გვერდზე სიცილით) ოო, რა მოღრუბლულია!

პეტრე. (მიხვდება რომ პეტრუზა გაჯავრებულია. ეცინება, მაგრამ თავს იკავებს) რას გვიბრძანებთ, ბ. პეტრუზ?

პეტრუზა. არა, რომ არც კი სწითლდები, მაგრამ უნამუსო კაცს რა გააწითლებს!

პეტრე. (ხმა მაღლა) ბატონო პეტრუზ, მე ნებას არ მოგცემთ შეურაცყოფა მომაყენოთ, გესმით!

პეტრუზა. როგორ! შენგან რაზრეშენია უნდა ავიღო ლაპარაკის! განა შენ აიღე ჩემგან რაზრეშენია, რომ საქვეყნოთ გამხადე?

ნესტორი. რაშია საქმე, ბატონო პეტრუზ?

პეტრუზა. რაშია და შკაფში, კაკოი ვაში დელო! ვი შტო, ეგო ადვოკატ შტოლი!

ნესტორი. მე რაღას მერჩით ბ. პეტრუზ?

პეტრუზა. არც შენა ხარ კაი შვილი, შენ რომ ქრისტიანი სული იყო (პეტრეზე აჩვენებს) ამისთანა კლაოზნიკს გაუამხანაკდებოდი!

პეტრე. საკვირველია ღმერთმანი, რათ გვაგინებთ! ჩვენ ყოველთვის მეცა და ნესტორიც პატივისცემით გეპყრობოდით, როგორც ჩვენი დაბის ძველის-ძველ ვაჭარს და კარგ ნაცნობს.

პეტრუზა. (გაკვირვებით) პატივისცემით გეპყრობოდით! უყურეთ ამ ურცხვს როგორ სლაბოდნათ ლაპარაკობს! (ჟურნალის ნომერზე უთითებს) მერე ეს არის შენი პატივისცემა!

პეტრე. რაშია საქმე, არ მესმის!

პეტრუზა. არ გესმის, ჰო, საწყალი რა ქორფა ჯეელი ბძანდები შენცა! არა, ეს რა არის-მეთქი!

პეტრე- ჟურნალია, რა უნდა იყოს!

პეტრუზა. მალადეც, გამოცანა გერგება. მეც ვიცი რომ ჟურნალია. არა, ეს ვისი ნაქნარია?

პეტრე. (თავს იკავებს სიცილისგან) არ ვიცი რასა მკითხავთ!

პეტრუზა. (კარიკატურას უჩვენებს) ეს ვისი და-

ხატულია მეთქი! არა, შენ რომელი ჩემი პრიდვორნი ფოტოგრაფჩიკი ხარ, რომ ჩემ კარტიჭკას იღებ!!

პეტრე. მე თქვენი ქართული არ მესმის, თუ სათქმელი გაქვთ რამე, სთქვით და გაათავეთ.

პეტრუზა. ქართული არ გესმის, მაშ ლემენცურათ გელაპარაკები. ერთი მითხარი ეს რა ვაჟკაცობაა! კაცმა შემოგხედოს შუბლი პროკლოვს მიგიგავს და თავში კი არაფერი გიყრია-რა. მე შენ კაცი მეგონე, სეკრეტნათ ჩემი ამბები გიამბე და შენ ქვეყანას მოჰფინე! რატომ მაგ ულვაშებისა ალარა გრცხვენიან, მაგრამ შენ ულვაშს რა ფასი აქვს! როცა გინდა მოიპარსავ და როცა გინდა შეიკრიჭავ.

პეტრე. (გაჯავრებული) მე თქვენ გეუბნებით შეურაცყოფას ნუ მაყენებთ მეთქი!

პეტრუზა. როგორ, ვინ მიაყენა პირველათ! შენ მამაყენე, თუ მე მოგაყენე? ეს რა არის ხუთი საჟენი ფეხები რომ დაგიხატნია და შვიდი ვერსი ცხვირი! მტყუანს რა უთხრა, თუ შენ ჩემზედ ლამაზი ბიჭი ხარ. არა, ჩემ ცხვირთან რა გინდოდა? შენი ულვაშები დაგეხატნა, რომ დრაგუნცკი ცხენის კუდივითა გაქვს შეკრეჭილი!

ნესტორი. ბ. პეტრუზ, რაზედა სჯავრობთ, გამაგებინეთ.

პეტრუზა. როგორ თუ ვჯავრობ! არა, ვინ მისცა მაგას ნება, რომ კარიკატურცკი კარტიჭკაში დამხატოს. არა, როდის შამეხვეწე, რომ ჩემი ფოთრეთი გადაიღე მეთქი. ვინ დააყენა ეგ ჩემ ფოტოგრაფჩიკათ!

ნესტორი. (კარიკატურას აკვირდება, ვითომ არ იცის. სიცილს ძლივს იკავებს) როგორ, ვითომ თქვენი სურათია ბ. პეტრუზ?

პეტრუზა. (გაჯავრებული) ძმაო, თუ ვერა ჰხედავ, აჰკები გაიკეთე.

პეტრე. თუ გინდა თქვენი სურათი იყოს, ჩემთან რა გინდათ!?

პეტრუზა. (ძალიან გაჯავრებული) როგორ თუ რა მინდა! ეს ვისი ნაქნარია მეთქი, მითხარი თორემ უფლის მადლმა არ ვიცი რას ვიზამ.

პეტრე. როგორ, მემუქრებით კიდეც! მე თქვენ გელაპარაკებით ნუ მაგინებთ მეთქი. (თავისთვის) დასწყევლოს ღმერთმა რა უნდა ჩემგან. (პეტრუზას) რა გინდათ რომ სახლში ყაჩაღივით შამომივარდით?

პეტრუზა. შემოგივარდი თორემ ვითომ ვოსუდარცკი ბანკში შევვარდნილვარ. რომ შამოგივარდე რა უნდა წავიღო შენგან, შე გაფხეკილო შენა. შენ ჯიბეში თაგვები ბალდადურს თამაშობდენ.

პეტრე. გაჩუმდით მეთქი, მოწყ ლეო ხელმწიფევ, მე თქვენ უკანასკნელათ გეუბნებით, ვინც თქვენ ან კარიკატურაში დაგხატავთ და ან შეურაცყოფა მოგაყენათ, იმას მიმართეთ, ჩემთან საქმე არა გაქვთ.

პეტრუზა. მაშ ატკაზი ხარ რაღა!

ნესტორი. ალბათ არაა მაგის დახატული, ბ. პეტრუზ.

პეტრუზა. (ნესტორს) ნი ვაში დელა ია ვამ გავარუ!

ნესტორი. (თავისთვის) მადლობა ღმერთს რომ არ შეუძლიან, თორემ ნამდვილათ გაგვამათრახებდა.

პეტრე. გელაპარაკებით ჩემი არც დახატულია და არც დაწერილი.

პეტრუზა. მაშ ვინ ჩასწერა გაზეთში ყველაფერი ასე ტოჭი-ტოჭი! მე შენ კაცი მეგონე, ჩემი სეკრეტები გიამბე, იმიტომ რომ ქვეყანაზე მოგეფინა! შენ რომ ტერტერა ჰყოფილიყავი ძალიან ჩისტათ კი შაინახავდი აი ახსარებას! რა ვიცი ორმოცი გარადავოი რომ შემოგეხვიოს ერთ სიტყვას ვერ გათქმევინებენ. მე მგონია სეკრეტის შამნახავი კაცია და ვენდობი მეთქი. არა, რა ვიცოდი თუ შენც გაშპიონდებოდი!

პეტრე. (გაჯავრებული მაგიდაზე ხელს დასცხრავს) გასწი დაიკარგე აქედან შე მართლა ჯაშუშო და გაფუჭებულო შენა.

პეტრუზა. მე წავალ, მაგრამ იაფათ კი არ დაგისომ ჩემ გაბიაბურებას. პეტრუზა მოკვდეს თუ ცხვირი ზურნის ბოლოსავით არ გიქციო. ტალდა პასმოტრიმ კაკ ტი ბუდიშ მოი კარტიჩკი რისავატ! (მიდის კარებისაკენ).

პეტრე. გაეთრიე მეთქი შე მყვლეფელო შენა!

პეტრუზა. (მოუბრუნდება პეტრეს) არა, ვის რა წავართვი, შე მშიერო შენა!

პეტრე. (ყვირილით) გაეთრიე მეთქი!

პეტრუზა. ნი კრიჩი! ნი კრიჩი!

ნესტორი. რა ამბავია, ბ. პეტრუზ, როგორ შეიძლება ასეთი შეურაცყოფა! დაწყნარდით.

პეტრუზა. კაკ ვი სმეიტი, მენე იზვესტნომუ ტარგავცუ ტაკოი აბიჟენია სდელატ. ია ვამ ვსე დუშა ვიტაშჩუ (მიიწევს, ნესტორი შუაში ჩავარდება, პეტრეც იწევს. ამ დროს შემოდის სირანუშა).

V

პეტრე, ნესტორი, პეტრუზა და სირანუშა.

სირანუშა. (შემოდის. უშველებელი დედაკაცია. სიმსუქნისაგან ძლივს ქშინავს) ქა, პეტრუზ, ეს ინჩხაბარა! (მივარდება პეტრეს და საყელოში სწვდება) აი, შე ბუნტოვჩიკო შენა, ვისა სცემ ვისა?

ნესტორი. (ვაი-ვაგლახით მოაშორებს სირანუშას და შუაში ჩამდგარი ხმა მაღლა) ბატონებო, როგორ შეიძლება ასეთი აურ-ზაური! არა, რა საკადრისია მანდილოსანი და ჩხუბი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სირანუშა. (ნესტორს) არა შენ ვინ დაგაყენა ამის ადგილაკეთათ! ხომ არ გინდა რომ ეს ზონტიკი თავზე გადგამტვრიო.

ნესტორი. ბატონო, მე რას მერჩიით!

სირანუშა. გაჩუმდი მეთქი! (ქოდგაზს მოუდგრს, ნესტორი უკან დაესვენ) განა არა ვთქვი თუ პეტრუშა შარს გადაეკიდება მეთქი. გულმა გამიგო. უყურეთ ამ მშიერ პეტრეს რა ამბავშია! აი, ცეცხლათ გიქიროს ღმერთმა ჩემი კაკლის მურაბეი. (პეტრუშას) წავიდეთ, პეტრუშ, ამ სალახანას, როგორ უყადრებ თავსა!

პეტრე. ((ადგადგებული) დამანებეთ თავი, მომცილდით ჩემი სახლიდან, თორემ არ ვიცი რას ვიზამ!

პეტრუშა. რას იზამ, რასა შე დამწკა კავალერო შენა!

პეტრე. გამშორდით მეთქი!

სირანუშა. (ხელს წაავდებს პეტრუშას და მიჭეაგს) წავიდეთ ქა, ერთი იმ ანიაზს უამბოთ, როგ ისიც მაგის გალანძღულია. ის მოვა მაგის ოხტში. (პეტრეს) აი, მეხი კი დგაყარე მაგ თავში, დასაწერი შენა ხარ და სხვასა სწერავ!

პეტრუშა. (კარებში) ეს ულვაში ძაღლისა იყოს, თუ გვერდების აპელაცია არ გაგიკეთო!

სირანუშა.. აი, შენ მომიკვდი, შენა, შე ქვეყნის მასხარავ. შენ რომ კარგი ჰყოფილიყავი, გარაეკოი უჩილიციდან არ გამოგაგდებდენ!

პეტრე. (შეგეეგერებს) უბირაიტეს ვონ!

პეტრუშა. ნი კრიჩი, ია ვამ გავარუ! (თაგადგბის ბრალდთ კადის).

VI

პეტრე და ნესტორი.

ნესტორი. ხა, ხა, ხა, ხა... ვოტ ტებე ი ბუნტ! მე რომ არა, ჩემო პეტრე, ნამდვილათ მოგთელავდენ. მერე ჩემ მტერს დაეტაკა იმხელა დედაკაცი. არა, როგორ რუმბივით შემოგორდა! ხა, ხა, ხა, ხა... ძალიან გამოყვანილი კია წელში ის შეჩვენებული ისა.

პეტრე. უყურეთ მაგ წყრბელს, მაგ ჩარჩს მაგასა, რა ამბავი დამიწია!

ნესტორი. (სიცილით) არაფერია, ჩემო პეტრე, გაიზდები და დაგავიწყდება.

პეტრე. შენ ხუმრობ, მაგრამ მე სრულებით არ მეხუმრება. არა, როგორ გაბედა, რომ ასე ყაჩაღივით შამომივარდა სახლში! თუ ეიხეში არ ვაყეურყეუტო ამ მოხტომისათვის, ბიეი არ ვიყო.

ნესტორი. რას ამბობ, პეტრე. ნუ თუ პეტრუშას უნდა გაუყადრო თავი!

პეტრე. რას ჰქვიან თავი არ გაუყადრო! ხომ ნახე რა დღე დამაყენა, როგორ მაგინა. ნუ თუ ყველაფერი ეს საპატიებელია!

ნესტორი. იგინოს. მერე რა ფასი აქვს პეტრუშას გინებას! მაგისი გაჯავრება მე პირიქით სიცილსა მგვრის. (ისმის რახუნი).

პეტრე. (გაჯავრებული) ეს ვიღა ეშმაკია, კარებს რომ არახუნებს!

VII

პეტრე, ნესტორი და აქტიორი ქერქეტაძე.

ქერქეტაძე. (შემოდის დიდის ფოროსით. წყარი მოპარსული აქვს. პატარა შეკერგული ულვაშები, დიდი შალაპა ჭიურავს. ფამოსასხმელი გეკერდზე აქვს მოგდებული, რომელიც შებნეული აქვს დიდა ეეფოთელი ფოდაქით. შემოდის ჩქარის ნაბიჯით და მიჭმარტავს ნესტორს) მაქვს პატივი ვესაუბრო ბ. პეტრე დევნილაძეს?

ნესტორი. არა, ბატონო, მე პეტრე არ გახლავართ. (აჩვენებს) აი პეტრე.

ქერქეტაძე. (ნესტორს) უკაცრავათ არ გიცნობდით, მაგრამ იმედია დღეიდან... (თავს აგნობს) ქართული სცენის აქტიორი ქერქეტაძე. (ხელს ართმევს და რამოდენიმე წუთის ჯანჯდარის შემდეგ პეტრეს მიჭმარტავს) მაშ თქვენ ბრძანდებით პეტრე დევნილაძე?

ნესტორი. (გვერდზე) თფუი, დასწყეველოს ღმერთმა, კინალამ ხელი მომტეხა.

პეტრე ღიიან, მე გახლავარ.

ქერქეტაძე. (აენობს თავს) აქტიორი ქერქეტაძე. ჩემი ფსევდონიმი ცნობილია საქართველოს ყოველი კუთხით. (პაუზა).

პეტრე. ვიცი, ბატონო, ეეშმარიტათ ქერქეტაძე ბძანდებით.

ქერქეტაძე. (ხელს გაუშვებს პეტრეს და ხელთის ჭნეკთი, აბტისტიულად) ჩემს ნიესა და ღვაწლს ყოველი ქართველი ეთაყვანება.

ნესტორი. (გვერდზე) ისე დაგირჩა თავი.

პეტრე. ყველაფერი ეემოვნებაზედაა დამოკიდებული.

ქერქეტაძე. მაშ არ გჯერათ რომ მე ცნობილი ქერქეტაძე გახლავართ!

პეტრე. ეეეეეც კი არ მეპარება. ნამდვილი ქერქეტაძე ბძანდებით, რეცენზიებში მინახავს თქვენი ფსევდონიმი.

ქერქეტაძე. მაშ რატომ ანგარიშს არ უწევთ ჩემს ნიესა, მოწყალეო ხელმწიფევ?

პეტრე. (კაკვირვებით) ჩემთან რა გინდათ, არ ვიცი!

ქერქეტაძე. მადლიერმა ქართველმა საზოგადოებამ უკვე დაიფასა ჩემი ნიჭი და სასკოლო მოღვაწეობის აღსანიშნავად სურს გამომართოს იუბილე მომავალ შემოდგომაზე.

ნესტორი. ჩინებულ დროისთვის განეზრახავთ, მართლი მოგახსენოთ. შემოდგომა ერთი საუკეთესო დროთაგანია მთელს წელიწადში. ნამჯეელი საქეიფო დრო. სწორეთ მაშინ სდღეს და გადმოდის მაჭარი, ისვება ბოკლები და იბერება რუმბები წითელი ღვინით.

ქერქეტაძე დიახ ქართველ საზოგადოებას ყოველმხრივ აწონილ-გაზომილი აქვს საქმის ვითარება და სკდილობს რაც შეიძლება კარგად და შესაფერ დროს გამართოს სადღესასწაულო ზეიმი.

პეტრე. მერე მე რა შუაში ვარ არ მესმის! მე მხოლოდ შემიძლიან ნოგილოცოთ ასეთი ხვედრი.

ქერქეტაძე. თქვენ უკვე მომილოცეთ, ბ. დევნილაძე, მაგრამ გამოგიტყდებთ ეს თქვენი მოლოცვა დიდი უნიკობის შედეგი უნდა იყოს.

პეტრე. გამაგებინეთ, რა გსურთ ჩემგან?

ქეუშეტაძე. ნუ დაგავიწყდებათ, მოწყალეო ხელმწიფეო, რომ მე ცნობილი არტისტი გახლავარ და ნებას არ მიცემ ვიგინდარა კორესპონდენტებს, რომ ჩემს შესახებ ასეთი უკბილო და უშინაარსო რეცენზიები სწერონ. როგორ გაბედეთ თქვენ და შეურაცყოფა მომაყენეთ მე, რომელმაც შევქენი და განვასახიერე შექსპირის დიდებული „ჰეკო“, სუნდუკიანცის „გამლეტი“, ცაგარლის „ფრანც მორი“ და შილლერის „სტეფან მაკარჩი“, გოგოლის „ქალწი კარაპეტა“ და ერისთავის „ხლესტაკოვი“. ნუ დაგავიწყდებათ, ვ. ეტატონო, რომ ჩემი თამაშით მრავალი თქვენისთანა რეცენზენტი ჩამიგდია საგონებელში. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქ-ნ ანიანის „დესდემონას“ ვთამაშობ, მთელი დარბაზი მსმენელებისა აღტაცებაში მომყავს.

ნესტორი. (სიცდით) როგორ დეზდემონასაც თამაშობთ?!

ქერქეტაძე დიახ ვთამაშობ, მაგრამ სულ ახალი მიზანსცენებით

პეტრე. (თავისთვის) გადარეულია ვიღაც ეშმაკია. რეებსა ჩქახავს!

ნესტორი. (სიცდით) ბატონო ჩემო, დეზდემონა ხომ ქალია და თქვენ კი, მე მგონია, მამაკაცი უნდა ბრძანდებოდეთ.

ქერქეტაძე. საქმეც ის არის, რომ ნიჭი, ყველგან ნიჭია. მან არ იცის არავითარი დებულება. ყოველმხრივ ნიჭს შეუძლიან ყოველნაირი როლის განსახიერება, დიახ სწორეთ იმიტომაც დავიმსახურე საზოგადოების ყურადღება და მადლიერი საზოგადოება იმიტომაც აპირებს ჩემი იუბილეს გადახდას. თქვენ კი, მოწყალეო ხელმწიფეო, ამისთანა ზეიმის წინ ასეთი რეცენზიითო დამაჯილდოვეთ. (იდგებს კაზეოს და ანგეგენს) რომ გესმოდეთ თქვენ, თუ რა არის ხელოვნება, დარწმუნებული ვარ ასეთ სისულელეს არ მოსჩმახავდით. მაგრამ თქვენ და ხელოვნება ძალიან შორი შორსა ხართ.

პეტრე. მოწყალეო ხელმწიფეო, ბ. ქერქეტაძეე, თქვენ ძალიან ბევრი დაფქვით და ეხლა კი დრო არის რომ თავს დამანებებდეთ. მე თქვენ ნებას არ მოგცემთ, რომ შეურაცყოფა მომაყენოთ. (კაკვირვებულდა) საკვირველია ღმერთმანი, რა შუაში ვარ მე! თქვენ ვინც დაგიწერათ რამე ცუდი, მას მიმართეთ, ჩემთან რა გინდათ?!

ქერქეტაძე. აბა რა თქვენი საქმეა რეცენზიების წერა, როდესაც ოდნავაც არ გაგეგებათ, თუ რა არის მიმიკა, პლასტიკა ჟესტიკა, გრიმიკა და სხვა...

ნესტორი. ჭეშმარიტი ბძანებაა. აბა ჟესტიკა და გრიმიკა რა ამის საქმეა!

ქერქეტაძე. მე თქვენ გირჩევთ დღესვე გაგზავნოთ წერილი რედაქციაში და ბოდიში მოიხადოთ, თორემ ისე გაგიხდით საქმეს, რომ ერთი სიტყვაც კი არ დაგბეჭდონ ამიერიდან რედაქციებმა.

პეტრე. მოწყალეო ხელმწიფეო, გთხოვთ ნუ მაბეზრებთ თავს, მოგახსენეთ ჩემი დაწერილი არ არის მეთქი და საკმარისია. მე არ მსურს თქვენს წინაშე ბოდიშის მოხდა.

ქერქეტაძე. (კაკვირვებული წასვლას აპირებს) არა გსურთ და მე თქვენ გაჩვენებთ სერს. (მიდის და კარებში შეჩერდება) მე თქვენ დაგანახვებთ, თუ როგორია შეურაცყოფა საკვეყნო ნიჭისა. (ისმის ხმა თავ. შერხაკანისა: ეს არის ამ მშიერ პეტრეს ბინა? შეგებ გაადგებს კარებს და შემოდის. ქერქეტაძე საჩქარო სალამს აძლევს) კნიაზ მურზაყანს ჩემი უმდაბლესი სალამი! (გადის).

(დასასრული იქნება)

ბოგია.

ᲡᲜᲔᲣᲚᲗ ᲡᲞᲔᲠᲛᲘᲜᲘ

ნებადართულია შინაგ. სამინ. არს. სამკ. საბჭ. მიერ № 9796

ᲓᲐᲡᲣᲡᲢᲔᲑᲣᲚᲘ

ი. ნ. ივანოვის ლაბორატორია მოსკოვში.

ᲗᲣ ᲗᲥᲕᲔᲜ მოქანცული ხართ ფიზიკური ან გონებრივი შრომით, ნერვები აშლილი გაქვთ, ესა თუ ის სნეულება გეპრონ—**გულს ნუ გიტეხთ!** სპერმინი მოგანიქებთ სასურველ დახმარებას. არ შეიძლება მას ვუწოდოთ წამალი სხეულის რომელიმე ადგილობრივ ავადმყოფობისა, არა! ეს არის სრულიად უვნებელი რამ—ეს არის სიცოცხლის ესენცია, ეს არის ძალ-ღონის წარმომშობი. იგი ჰმოქმედობს სისხლის შემადგენელობაზე, გადაახალისებს მას და სწმენდავს მას დაძველებულ მავნებელ ნაწილებიდან. როდესაც სნეულებისა თუ მოხუცებულობისაგან დაავადებულ ადგილას მოჰხვდება სპერმინი, რომელიც ჩვენს ჯანსაღობას სდარაჯობს, მაშინვე იწყებს ნაყოფიერ მოქმედებას დაზიანებულ უჯრედების გადასახალისებლად, აწვდის მას ახალს სისხლს, ახალს ძალას, და სნეულების წინააღმდეგ საბრძოლველ საშუალებასა ჰმატებს. ექიმებმა დაადასტურეს, რომ სთესლე ძაფების გამონაყური უებარი წამალია: სიბერით გამოწვეულ უღონობისა, სისხლ ნაკლებობისა (ანემია), მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ნერვების აშლისა, დაქანცულობისა და სქესობრივ უილაჯობისა, დამპალ ციებისა და ჩუკუნების შედეგისა, სიგამხდრისა, სიდამბლისა, სქესობრივი სისუსტისა, წყალმანკისა, გულის სნეულებისა, შაქრის ავადმყოფობისა, ქარებისა, ნიკრისის ქარებისა. **ექიმებისა და ავადმყოფთა აზრი სპერმინის თაობაზე უფასოთ ეგზავნებათ.**

მოითხოვეთ ყველა აფთიაქებსა და საფთიაქო მაღაზიებში. ფასი—1 ფლაკონი—2 მან. 40 კაპ. ფასდადებით ვგზავნით ღირებულების 1/3 მიღებისას, შეიძლება ფოსტის მარკებითაც. მთავარი საწყობი პროვიზ. ახელედიანის აფთიაქში, თფილისი, კოლეგიანის ბრასმეექტი № 41, დასაკვეთად მიმართეთ მთელი კავკასიისთვის წარმომადგენელს **ი. გ. ახობაძეს**, ტფილისი, კოლეგიანის ბრასმ. № 41.

მიღებული გვაქვს სამადლობელი წერილები აუარებელ პირთაგან, რომლებიც სრულიად გამოაჯანმრთელა ჩვენმა სპერმინმა, წერილების ნახვა შეიძლება გ. ახობაძესთან.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲗᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ „ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲚᲘ“

5 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲦᲕᲘᲜᲘᲗ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ

რაჭა-ლეჩხუმის (ყიფიანის), სვირის, ქართლის და სხვა ღვინოები. **ოლგას ქუჩა. სახლი № 8.**

„ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ“

1 მაისიდან ქალაქ თფილისში გამოსვლა ჟურნალ-გაზეთების კანონრა

ᲯᲐᲠ-ᲯᲐᲠᲝᲑᲘᲗ ᲐᲒᲘᲜᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲒᲔᲖᲐᲕᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲔᲓᲒᲠᲝᲕᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ: „ᲗᲐᲜᲐᲒᲠᲝᲕᲘ ᲐᲖᲠᲘ“, „ᲔᲜᲘᲐ“, „ᲗᲘᲤᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲐᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ“, „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲪᲮᲝᲠᲒᲘ“, „ᲙᲘᲠᲘᲚᲚᲘᲡ ᲚᲘᲡᲢᲘ“, „ᲛᲔᲛᲐᲪᲘ“ ᲓᲐ „ᲗᲐᲜᲐᲒᲠᲝᲕᲘ“.

ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲒᲔᲚᲓᲔᲑᲘᲡᲐᲜ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲕᲘᲗ ᲓᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲬᲘᲜᲓᲐᲖᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲗ: Тифлисъ, почт.-ящ. № 96, Сильвестру Р. Гаварткиладзе.

ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: ოლგინსკაია, № 6.

ყოველ თვიური საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი
„ჯეჯილი“
მცირე წლოვანთათვის და მოზრდილთათვის
ფასი: წლით 5 მ. ნახ. წლ. 3 მ. ცალკე № 40 კ.
ადრესი: Тифлисъ, ред, Журнала „Джеджили“
Артиллерiиская ул. № 5.

დასურათებული საყმაწვილო ჟურნალი
„ნაკადული“
წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:
24 წიგნი ნაკადულისა მცირე წლოვანთათვის | 12 წიგნი ნაკადულისა მოზრდილთათვის
ფასი: ორივე გამოცემისა წლით 5 მ. ნახ. წლ. 3 მ.
ცალ-ცალკე მცირე წლოვანთათვის 24 წ. 3 მ.
მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ.
ადრესი: Тифлисъ, Ред. „Накадули“ Голов. просп. № 8

გოლოვინის პროსპექტისა და სამხედრო ქუჩის კუთხეში
გაიხსნა ახალი აფთიაქი
ვარლამ აზვლედიანისა.

გთხოვთ პირადათ დარწმუნდეთ.

შუშხუნა „ჩვენი გემო“ კვასი

გთხოვთ პირადათ თვითონ დარწმუნდეთ.

„ჩვენი გემო“-ს ქარხანა გადავიდა ჩერქეზოვის ქუჩაზე № 38.

კვასი მზადდება პირველ ხარისხოვან მასალისაგან და ნადუღი წყლით. სისუფთავე ქარხანაში საუცხოვოთ დაცულია. ამზადებს დიდი ხნის დაკვირვებული და პრაქტიკის მქონე მოხელე. გემო და სუნი მეტათ სასიამოვნო აქვს.

ვისაც სურს დალიოს ნამდვილი პურის კვასი. მოითხოვოს ყოველგან „ჩვენი გემო“ და არ აურიონ ის სხვა ფირმებში. კვასი „ჩვენი გემო“ ქიმიურ ლაბორატორიისაგან გასინჯული და მოწონებულია.

იყიდება გასული წლების ჟურნალები:

1) „ეშმაკის მათრახი“ 1908 წ. 34 ნომერი 2 მ. 50 კ.
2) „ეშმ. მათრახი“ — 1909 წლ. 34 ნომერი 2 მ. 50 კ.
ორივე წიგნი ერთად მშვენიერი ყდით ეღირება — 6 მან.
3) „მათრახი“ 1910 წლის 33 ნომერი — 2 მ. 50 კ.
4) „ალმანახები“ 1909 წლის 10 ნომერი — 50 კ.
პროვინციაში მსურველთ გაეგზავნება ჩვენის ხარჯით ვინც წინ და წინ გამოგზავნის ფულს ან ფასდადებით გაიწერს.
ადრესი: Тифлисъ, Типографія Шрома, Теофилу Болквадзе.

უფროსი ექიმი. მე ქალებს საზოგადოთ დიდ პატივსა ვცემ და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ თავ-
თავის დროზე ყველას მივიღებ...

ნებადართულია სამხ. ცენზორ. სტამბა ამხ. „შრომა". რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე